შემსრულებელი:

GURGENIDZE

მრავალფუნქციური შენობა

ქ. თბილისი, 17 შინდისის გმირის ქ. №9-11
ს/კ 01.19.36.001.522

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი ლ.გურგენიძე

დაამუშავა ბ.გოგოლაური

ქ. თბილისი 2022წ

შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი:

-“სამშენებლო გენგეგმა” ნახაზი მო-1;

-“სამონტაჟო სქემა” ნახაზი მო-2.

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად.

2. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, 17 შინდისის გმირის ქუჩა №9-11, ს/კ 01.19.36.001.522. ტერიტორია გამოირჩევა ოდნავ დახრილი რელიეფით. შენობის პირველი და ანტრესოლის სართული ეთმობა კომერციულ ფართს, მეორე და მესამე სართულზე განთავსებულია საოფისე ფართი. დანარჩენი სართულები მეოთხედან მეთერთმეტეს ჩათვლით საცხოვრებელი ბინებია. მიწისქვეშა სართულზე განლაგდება ავტოფარეხი. კონსტრუქციულად შენობა არის მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, მონოლითური რკინაბეტონის გადახურვებით და დგას მონოლითური ფილის საძირკველზე. კედლები ივსება ბლოკით.

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს მონოლითური რკინაბეტონის კარკასის მოწყობის გაგრძელება /26.95მ ნიშნულიდან/ და კორექტირებული პროექტის მიხედვით /ორი სართულის დაშენება/ სამუშაოების შესრულება.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--მიწის ნაკვეთის ფართი----------1455.00მ^2.

3. საპროექტო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. დარჩენილი და კორექტირებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე საბოლოოდ მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია **T=8.00 თვე.** მოსამზადებელ პერიოდის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

4. გრუნტის სამუშაოები უკვე შესრულებულია.

5. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს კოშკური ამწე **San Marco Tower SMT-**ის და ბეტონის ტუმბოს გამოყენება. კოშკური ამწე უნდა იქნას დაყენებული ეზოს მხრიდან “5-6” ღერძების შორის /იხ. პროექტის გრაფიკული ნაწილი, ნახაზი მო-1/.

ამწის მუშაობისას უნდა მოხდეს:

-- ამწის ისრის შემობრუნების შეზღუდვა;

ამწის მუშაობისას უნდა მოხდეს:

-- ამწის ისრის შემობრუნების შეზღუდვა;
-- ამწის ურიკის მოძრაობის შეზღუდვა, ამწის მუშაობის საშიში ზონის ზომები /СНиП III-4-80 თანახმად/:
R=11.00+10.00=21.00მ,
-- ურიკის შეზღუდული მოძრაობის გამო, თითოეულ სართულზე სამშენებლო მასალების ნაწილობრივი განაწილება ხელით;
-- ამწის უკანა მოსაბრუნებელი ნაწილის ზომის გათვალისწინება;
-- ამწის დემონტაჟის შემდეგ სამშენებლო საწყვეტლის /1 ცალი/ დაყენება.

სამუშაოების რიგები და ეტაპები:

პირველი რიგი-------მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:

--პირველი ეტაპი-----მოედნის მოწესრიგება----------შესრულებულია;
--მეორე ეტაპი------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება--------შესერულებულია.

მეორე რიგი-------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მესამე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, ფუძის და საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------შესრულებულია;
--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან 26.95 ნიშნულამდე
----------შესრულებულია;
-------ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 26.95მ-დან 39.45მ ნიშნულამდე----------შესრულებულია;
--მეხუთე ეტაპი------სახურავის და გადახურვის მოწყობა----------60 დღე;
--მეექვსე ეტაპი------არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------შესრულებულია
--მეშვიდე ეტაპი-----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------30 დღე;
--მერვე ეტაპი--------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი---------- ----------30 დღე;
--მეცხრე ეტაპი----შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ----------90 დღე;
--მეათე ეტაპი-------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------30 დღე.

5. ყველა ფიზიკური სამუშაოს განხორციელება მოხდეს **საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების –"მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს** მოთხოვნათა გათვალისწინებით; ასევე **საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილების - „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთოვნების შესახებ"** ტექნიკური რეგლამენტის დაცვის მიხედვით.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი “გარემოს დაცვის შესახებ” 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი “წყლის შესახებ” 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი “ატმოსფერული ჰაერის შესახებ” 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი “ მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ” 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის ტუმბოს საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

ТП-5 –ის ტექნიკური დახასიათება

1	ტვირთამწეობა	500.00კგ
2	აწევის სიმაღლე	50.00მ
3	აწევის სიჩქარე	0.50მ/წ

Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

1	მოცულობა	160.00მ^3/სთ
2	აწევის სიმაღლე	50.00მ
3	შვერა	48.10მ
4	შლანგის სიგრძე	4.00მ
5	მანქანის სიგრძე	13.60მ
6	დგარების შორის მანძილი	10.20მ

კოშკური ამწე San Marco Tower SMT 55-ის ტექნიკური დახასიათება

1	მაქსიმალური ტვირთამწეობა	5.00ტნ
2	მინიმალური ტვირტამწეობა	1.25ტნ
3	აწევის სიმაღლე	42.00მ
4	ისრის შვერა	55.00მ

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.



	ეზოს განათება სიმაღლე 3.0 მ-დან 4.0 მ-მდე
	ეზოს განათება მოპირკეთების ფილაში ჩასმული
	ეზოს განათება სიმაღლე 0.8 მ-დან 1.0 მ-მდე
	ეზოს განათება დამაგრებული კედელზე
	გამწვანება
	გრუნტის მოსაპირკეთებელი ცხაურა (გამჭოლი) ზედაპირით
	მოსაპირკეთებელი ქვა
	ლითონის მოაჯირი
	ლითონის ქოთანი H-1.0 მ / 0.5 მ

ბენ-გეგმა



შენიშვნა:

01.17.10.012.125

პროექტი: მრავალფუნქციური შენობა

ნახაზი: გენერალური გეგმა

შემსრულებელი: GURGENIDZE

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ლ.გურგენიძე	
არქიტექტორი	თ.ჩხაიძე	
არქიტექტორი	მ.გურგენიძე	
არქიტექტორი	ლ.გურგენიძე	

სტადია	ფორმ.	თარიღი	მასშ.	ფურც.
შ.პ.	A-1	15/12/2020		

01.19.36.001.246

№	სამუშაოს დასახელება	დღე	1 თვე						2 თვე						3 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
1	ტერიტორიის კეთილმოწყობა	90																		
2	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
3	სხვადასხვა სამუშაოები	-																		

მრავალფუნქციური კომპლექსი შინდისის გმირების ქ-ზე

ს/კ 01.19.36.001.522

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი
/ კალენდარული გეგმა დარჩენილ სამუშაოებზე /

საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება **СниП 1.04.03-85** თანახმად და პირობითად მიღებულია **4.0 თვე** დარჩენილი სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე.

დაამუშავა: / ბ. გოგოლაური /

ქ. თბილისი 2021წ